



№ 4 საოხუნჯო ჟურნალი

სანამ ქალაქს მივიღებდეთ მომარაგების სამინისტროსაგან, ჟურნალი ხათბალა გამოვა დრო-გამოშვებით და დაიბეჭდება ისეთ ქალაქებზე, რა ქალაქსაც ვიშოვით კერძოდ. რედაქციის მისამართი: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, თვითილე ბოლქვადეს. გამყიდველებმა და აგენტებმა უნდა მიმართონ თფილისში კანტორა „განათლებას“.



გ.მ.ვ.ლ.ა.ძ.


მორჩილი სახედარი.

ვინ არ მიცნობს ვინცა ვარ,
რომელი ოხერი ვარ,
ძველი დიპლომატი ვარ—
ყველაზე ხნიერი ვარ.

ისტორიის ფურცლებზე
მოლაღატეთ ვსწერივარ,
მტერ-მოყვარეს ვერა ვსცნობ—
იმოდენა შტერი ვარ.

წინად ვიყავ მაძლარი,
ეხლა კი—მშიერი ვარ,
გარეშეს თაყვანსა ვსცემ
მეზობლების — მტერი ვარ.

ძლიერებთან მონა ვარ,
ქვეყნის შესარცხვენი ვარ,
ხან ვიღჰველომის ვირი ვარ,
ხან ლენინის ცხენი ვარ!.





მოხერხებული მეჯინიბე.

(ბოკაჩიოდან).

ლანგობარსკის მეფემ ანგილუფმა თავის წინაპრების მიხედვით ამოირჩია თავის სატახტო ქალაქათ ქალაქი პავიო. მეფემ თავისი ბრძნული და ჭკუიანური მოქმედებით ბევრი სიკეთე მოუტანა თავის ქვეყანას. ანგილუფს მეუღლეთ ყავდა ქვრივი კაროლის ნაცოლები. მეფის ცოლი ტაგუნლიდა მეტის-მეტად ლამაზი და ეშხიანი ქალი იყო. მოხდა ისე რომ ეს მზეთ-უნახავი დედოფალი შეუყვარდა ერთ სასახლის მეჯინიბეს. ეს მეჯინიბე იყო ლამაზი კაცი და მეფეს გავდა როგორც სახის გამომეტყველებით ისე ტანის სისრულით.—მეჯინიბემ კარგათ იცოდა, რომ თავისი მდგომარეობით ის არაარაობას წარმოადგენდა, ამიტომ დედოფლის თანაგრძნობაზე მას არასოდეს არ უფიქრნია რადგანაც ეს შესაძლებლათ არ მიაჩნდა. მეჯინიბე შორიდან შესტრფოდა და ეალერსებოდა დედოფალს და ამ რიგათ იკლავდა უზომო სიყვარულს გულში.

რაც დრო მიდიოდა მით უფრო მეტად ეღებოდა სუყვარულის ალი მეჯინიბეს და იმ ზომამდე მივიდა რომ განიძრახა თავის მოკვლა. თავის მოკვლამდე კი გადაწყვიტა რამე გზით დამტკბარიყო ერთი წამით მაინც დედოფალთან. რა თქმა უნდა ეს საქე ადვილი არ იყო, მაგრამ როდესაც კაცი სასიკვდილოთ გადადებს თავს, ყოველივე მისთვის შეუძლებელი, შესაძლებელი ხდება, მაგრამ როგორ მოეხერხებინა ეს? აეხსნა სიყვარული დედოფლისათვის?— შეიძლება არაფერი გამოსულიყო და თავი კი დაეკარგა. მიეწერა წვრილი? ესეც კიდევ სახიფათო იყო. ბოლოს გადაწყვიტა მეჯინიბემ: მგფის მაგიერ როგორმე შეპარულიყო დედოფლის საძინებელ ოთახში და ერთი ღამე გაეტარებინა მასთან, თუ გინდ მეორე დღეს მისთვის თავიც მოჭრათ.

მეჯინიბემ გადასწყვიტა—მოეყვანა თავისი განზრახვა სისრულეში—მან კარგათ იცოდა რომ მეფე ყოველ ღამე დედოფალთან არ იძინებდა. რომ უფრო დაწვრილებით შეესწავლა ყოველ გვარი მეფე-დედოფლის ურთიერთობა მეჯინიბემ დაუწყო თვალ ყურის დევნება მეფეს, თუ რომელი ოთახიდან შედიოდა და რა დროს. მართლაც ერთ საღამოს მეჯინიბემ დაინახა რომ მეფე სანთლით ხელში და ჯოხით მიაღვა დედოფლის ოთახს. მეფეს ხმა არ ამოუღია დაურაკუნა კარზე ჯოხი, კარი გააღო ფრეილინამ, გამოართვა სანთელი ხელში და მეფე შევიდა დედოფლის საწოლ ოთახში. მეჯინიბემ მოუცადა მეფეს, უყურა როგორ წესით დაბრუნდა და გადაწყვიტა იმავე წესით შეპარულიყო დედოფალთან.

მოძებნა სანთელი, ჯოხი, დაიბანა სუფთად რომ სუნი არა ჰქონოდა, ჩაიცვა მეფის მგზავსად. და ღამე როცა სუყველამ დაიძინა, სანთლით ხელში გაემართა დედოფლის საძინებელ ოთახისკენ. მეჯინიბემ კარს ჯოხი მიურაკუნა, ფრეილინამ კარი გაუღო სანთელი გამოართვა და შეუშვა დედოფლის საძინებელ ოთახში, ჩუმათ მიუახლოვდა დედოფალს.—დედოფალმა იცოდა რომ როცა მეფე კაი ხასიათზე არ იყო ლაპარაკი ეზარებოდა და დედოფალიც საშავიეროთ მას აღარ აწუხებდა საუბ-

რით. ამიტომაც დედოფალმა მეჯინიბე უსიყვარულად ნიშნა თავის საწოლში.....

საქმის წესი
ნიშნითაა

მეჯინიბეს ძლიერ დაენანა დედოფლის სარეცელის დატოვება, მაგრამ ნათქვამია სული ტკბილიაო და შიშის გამო დიდხან ვეღარ დარჩა, იგი კმაყოფილი იყო იმითაც რომ სიყვარულით დასტკბა და თავის მიუწოდებელ საწადელს მიაღწია. მეჯინიბე ადგა, ჩაიცვა ტანთ და იმრიგათვე გამოიბარა საწოლ ოთახიდან რარიგადაც შევიდა იგი პირველად.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ახლა დედოფლის საწოლ ოთახს მეფე მოადგა. დედოფალს ძლიერ გაუყვირდა მისი მეორეთ მოსვლა და კითხა: თქვენ ეს არის ახლა წახვედის ჩემგნით და ხელახლა რაღათ დაბრუდით? მეფე მაშინვე მიხვდა, რომ ვილაცამ მოტყუებით დაიკავა მისი ალავი და ისარგებლა მისი ცოლით,—მეფემ, რომ ხმა არ გავრცელებულიყო სასახლეში, დედოფალს არაფერი გააგებია ამის შესახებ და უთხრა რაღაც აგრე მომეხასიათა დღესო. გულში კი მეფე მეტის მეტი ბოღმისაგან გულზე სკდებოდა. მეფე მიხვდა, რომ ეს დანაშაულობა ჩაიდინა ალბათ სასახლის კარის-კაცმა, მაგრამ როგორ აღმოეჩინა დამნაშავე რომ არავის გაეგო.

მეფემ მოითქრა რომ ვინც ეს დანაშაულობა ჩაიდინა ის ეხლა აღელვებული იქნება, მაჯის ცემა ძლიერი ექნება და არც ეძინება. მეფე ჩამოუარა თავის მოსამსახურეთ და თითოეულს მათგანს სინჯავდა. სუყველას მაგრათ ეძინა გარდა მეჯინიბისა. დაინახა თუ არა მეჯინიბემ მეფე მოდისო, მიხვდა მაშინვე რომ ეს კეთილს არას მოასწავებდა. გულმა მას უფრო უმატა ცემა—მოიგონა ძილი. ბოლოს მეფე მივიდა მეჯინიბესთანაც—მეჯინიბეს გული მაგრათ სცემდა—ეს არის, გაიფიქრა მეფემ—და რომ დანარჩენ მოსამსახურეებში ეჭვი არ აღედრა—ამოიღო ჯიბიდან მეფე მაკრატელი და ყურის ძირში შეაჭრა თმა, რომ მეორე დილაზე ადვილათ გაეგო მისი ვინაობა.—მეფე დაბრუნდა თავის ოთახში. მეჯინიბე მიხვდა რომ მეფემ განგებ შეაკრიჭა მას თმა. ადგა თითონაც მოძებნა მაკრატელი და ყველა მოსამსახურეს იმ ალავას მუაჭრა თმა რა ალავსაც თითონ მას ჰქონდა მოჭრილი. მეჯინიბე დაწვა და დაიძინა.

მეორე დილაზე მეფემ ბრძანა ყველა მოსამსახურენი გამოცხადებულიყვნენ მასთან. როგორი იყო მისი გაკვირვება როდესაც დაინახა რომ სუყველა მოსამსახურენი ყურის ძირში გაკრეჭილნი იყვნენ.

მეფე მიხვდა რომ დამნაშავის დასჯა გამოუმტლავნებლათ არ შეიძლება, რომ გამომტლავნება უარესი სირცხვილი იყო თვით მეფისთვის. ამიტომაც ჭკვიანმა მეფემ გადაწყვიტა მხოლოთ შენიშვნა მიეცა იმ არამზადსთვის რომელმაც მას ოჯახში შეურაცხოფა მიაყენა.

— ის ვინც თქვენ თმა აგაკრიჭათ ასე—იცოდეს მან, რომ ეს მეორეთ აღარ გაბედოს! დასჭეკა მიღალი ხმით მეფემ.

მეჯინიბე—ერთის მხრით სირცხვილისაგან, მეორეს მხრით შიშისაგან კანკალებდა... თავის საიდუმლოება მას არასოდეს არავისთვის გაუხმელია... და მეფემაც მოთმინებით აიტანა შეურაცხოფა...





შექანჯალგებულისებური.

ჰი ჰი ჰი ჰი, ჰა ჰა ჰა ჰა,
 შექანჯალდა, შეგვეჯახა,
 (საცოდავი, ჭკურთ გლახა)
 ჩვენი ლანძღვა განიზრახა?!
 ვიცით რისთვის ეწვის ხახა,
 მან პილპილის გემო ნახა,
 სხვა წამალი ვერ მონახა
 და საზღვრები გადმოლახა.
 იფურთხება, სულ ყრის დორბლებს,
 მთლათ წაბილწავს მის მეზობლებს,
 დღეს ბედნიერ იმის მშობლებს
 ის უდროვოთ დააობლებს,
 ვინც რომ ცდილობს სხვის დამარხვას
 მოვესწრებით იმის ნახვას,
 რომ მისი ჰირისუფლები
 მის ქელეხზე ვჭამდეთ მარხვას.
 რა მკვდრები გვყავს ასაკიდი?
 (ეს სიბრიყვე მოგდის დიდი)
 შენ მაგ ტყუილს ვერ გაყიდი,
 (ჩაგიტყდება ჯორის ხიდი).
 ვიცით რისთვის იწყებ ბოდვა -
 (შენ გაწვალეხს შენი ცოდვა)
 შეპრეკილი შეგეცოდვა?!
 რომ არ ვიყავ შეპრეკილი
 მაშინ რათ დაგვასვე კბილი?!
 საწყალო, დაგწამეთ ცილი?
 (მოგინელეხს შენ სიცილი)
 თქვენთან რომ ჩვენ არა ვსტყუით
 (ამას ვამბობ სრული ჭკუით).
 გიცნობ ძმაო, რაც ხარ კრავი,
 არ გაუფუხვებს შენ სახრავი?
 ვინც ჩვენ შორის არის შავი
 იმას კი შეურცხვეს თავი.
 დღეს რომ ჟურნალს ბეჭდავთ ფართეთ,
 ჩახატეთ, ჩასურათეთ
 და ყოყოჩობა გამართეთ
 (ვიცით როგორ მოხლიფართეთ).
 ამ საზღაპრო სიძვირეში,
 ორხელ ბეჭდოთ ერთ კვირეში
 რა დაგიშლის, რა ეშმაკი,
 (ქალაქს გაძღვეს „აფხანაკი“,
 მუქთადაც ხომ ბეჭდავთ აკი?!)
 გაანათლეთ „სოლოლაკი“,
 ტანთ ჩაიცვით „ჭრელი“ ფრაკი,
 იწყეთ ჭიკჭიკი, რაკრაკი,
 „ქიმერონში“ პაკი-პაკი.
 (არ მოგწონს შენ ეს არაკი,
 ჩვენი კილო, ლაპარაკი?!).
 ტყუილია, გწამებენ ცილს?
 (დაგაფიცებ უშნო სიცილს)
 ცილს თუ გწამებთ უსამართლოთ—
 თავი უნდა გაიმართლოთ.

ჰა ჰა ჰა ჰა, სულ სიცილი,
 თუ ავქავდა მართლა რბილი,
 შორს არ გინდა შენ სირბილი,
 („იმასა“ აქვს გრძელი კბილი)
 და აქედან შეპრეკილი
 კეტს მოგარტყამს ისეთ მაგარს,
 რომ სიმწრით იწყო კინკილი
 და იგლეჯდე თავზე ჯავარს.

შეპრეკილი.

პირველი მაისი*)

(გუძღვნი მუშებს)

ვით ობოლი ცრემლის ღვარი
 დედის თვალზე მონადენი,
 სევდით იყო შებორკილი
 უბადრუკი მუშის დღენი!.

მაგრამ დახეთ, დაჰკრა ბრძოლამ
 მომავალიც თვით გასჭედა...
 —ნიშნათ დიად გამარჯვების
 აი, ეს დღე დაიბედა!.

მთელი ქვეყნის სიამაყე
 დაჩაგრულთ მუშა ხალხო,
 მეც მზათა ვარ ტრიბუნადან
 სიხარულით გადმოგძახო:

გაუმარჯოს მშრომელ ხალხსა
 მათ კავშირებს, მათთან ძმობას,
 მათ ბრწყინვალე მომავალსა
 და მათ პირველ მაისობას.

იონა თლუღელი

გამოცანა.

(სუფსისათვის)

კაცი იყო მეტად დინჯი,
 მას მივანდეთ საქმე დიდი.
 (ვერ ვიცანით, თურმე იყო
 საშიში და მოსარდი).

ბევრი საქმე ჩაიდინა
 დასაგმობი, მეტად ცუდი
 და ჩარჩ სპეკულიანტებთან
 გადააბა კულზე კული.


ბათომსა და სუფსას შორის
 იმათ გადვეს გრძელი ხილი,
 (კონტრაბანდის გასატანი,
 მათი მუცლის წასახიდი).

მაგრამ მალე გამოუტყდათ
 შედებილი ბიჯგი თვისი,
 გადაბრუნდენ თავდაყირა,
 დაემართათ საკადრისი.

და დღეს ჩვენი მელა კულა,
 (წინათ დინჯი, როგორც კრავი),
 დაბლატუნობს ხახამშრალი,
 მაგრათ პანლურ ანაკრავი.

სევდიანი.

*) ეს ლექსი დაგვიანებით მივიღეთ და დროზე ვერ დაიბეჭდა. რედ.



ნაცნობ სიტყვათა ახსნა.

იყო დრო როცა უცხო სიტყვათა განსამარტავათ ვეებერთელა წიგნები იბეჭდებოდა.

შეიცვალა დრო.

დღეს საჭირო შეიქნა ნაცნობ სიტყვათა განმარტება.

დროს რომ არ ჩამოვრჩეთ, გადავწყვიტეთ დრო-გამომშვებით განმარტოთ ძველ ნაცნობ სიტყვათა და მცნებათა ახალი შინაარსი.

ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. ამ მცნების შინაარსი ძირიან-ფესვიანათ შეიცვალა. დღეს აღნიშნავს: ჟურნალ-გაზეთების საშვალე-ბით ფებსაცმელების სპეკულიაციას.

ბოროტი ენები ამბობენ, თითქოს, როცა თბილისიდან ბათუმში ჩვეულებრივ მოქონდათ ვაზეთები ნოტანების საბაჟოს მოხელემ დაყნოსა და ტყავის სუნი ეცა. ვაზეთებში აღმოჩნდა ახალი ფებსაცმელები.

პირადათ მე ეს ამბავი სიმართლისაგან შორს მგონია, რადგან ნატანებში ამ ამბის გამო დაწერილი აქტი დაუხვეიათ. რომ მართალი ყოფილიყო აქტს ვინ დახვედა!

ბოლშევიკი. წინეთ ბოლშევიკი ქვიოდა ისეთ კაცს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ არსებულ პირობებში შეიძლება სოციალიზმის დამყარება.

ახლა:

სადმე დაწესებულებაში ითხოვეთ სამსახური. უადგილობით ან სხვა მიზეზით უარი გითხრეს— თქვენ უკვე ბოლშევიკი ხართ.

დედამ გული მოგაყვანიათ: დღეში ორჯელ პაპიროსის ფული არ მოგცათ— თქვენ უკვე ბოლშევიკი ხართ.

სატრფომ გილალატათ, რადგან ახალმოდის კოსტიუმში ვერ უყიდეთ (40,000 მ. ლირს) და „პერსიანს“ დაუჯდა საყვარლათ (ხშირი მოვლენა ბათუმში არა მარტო სატრფოებს შორის, არამედ ცოლებ შორისაც) — თქვენ უკვე ბოლშევიკი ხართ.

არ მოგაქციათ ყურადღება საზოგადოებამ, არ დააფასა შენი გენიოსობა— თქვე ბოლშევიკი ხართ.

არ მოგიმატეს ჯამაგირი სამსახურში— თქვენ ბოლშევიკი ხართ.

წესრიგი. უნდა მართალი მოგახსენოთ ძლიერ მიქირს ამ მცნების

ახსნა. წესრიგზე რომ ნამდვილი წარმოდგენა გქონდეთ უნდა საკუთარი თვალით იხილოთ.

ძველი წესრიგი ყველას გეხსობებათ.

ახალი ვისაც უნდა გაიგოს მობრძანდეს ბათუმში და იხილოს, როგორი „წესრიგი“ დაამყარეს:

ინგლისელებმა— ქალაქში.

ხალხის სულისკვეთებათა „ნამდვილ გამომხატველმა“ გამგეობამ— ქალაქის თვითმმართველობაში.

საქველმოქმედო საზოგადოებამ— ფულების ნგარიშში.

ექ ფროლოვმა— ქალაქის საავადმყოფოში.

ბოლშევიკებმა— პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

სხვა სამაგალითო წესებზე შემდეგ.
გრ. სლუჩინი.

სიზმარ-ცხადი.

(გუძ. ბუტუნას).

სიზმრათ ვნახე მოღრუნჯული, თმაში თეთრი გარეული, მარჯანეცის ვაგონს სკლიდი შიმშილით გულ არეული.

სიმონ, ვანო, პეტრე ვასო დაძვრებოდენ მოკუნცხული, სულ პრინციპი, იდეალი იყვენ მუშის სული გული.

იქ ციხიდან კრეისერი თხზავდა მწვავე სატირებსა, მუშებისთვის სასაცილოს, მის მტრებისთვის— სატირებსა.

გალობდა ნიკოლაძე, მორჩილებდა მთა და მარი, ეს-დეკების ნაწვენვე წყლულზე ქონს უსვამდა უტუს ჯარი.

ერასტო და ძმანი მისნი, ბუკის მატლი აპოლონა, შიმშილისგან თითს ილოკდენ არ გააჩნდათ დრამის წონა.

ვანო იჯდა ყურ დაყრილი ლენინთან და ოქმებს სწერდა, ხან თუ წეიდალალებდა თორემ სალამს ვინ აძლევდა.

ერთიც გვერდი შევიცვალე და ისთველე დამეძინა და სურათი სხვანაირი გადიშალა ჩემს თვალ წინა.

ვითომც ჩვენო, ბუტუნ-ალა, საქმეებში გართულიყავ, ვაზეთებს და წიგნებს ყიდდი, ქანქარში მთლათ ჩაფლულიყავ.

სიმონ, ვანო, პეტრე ვასო გულობდენ გაჯგმვლილი ჯიბე სქელი, კისერ ჯიჯგვი, პილატეს ცრემლ გადაკრული, კრეისერი განაღმოსნდა და თბილისის ბოლახს ცვიდა, ჭიჭვი ფხალის მონატრული გოქებსა და ბატკნებს თლიდა.

აქ გიორგის შეედგინა სინდიკატი, „ოქროს ვერძი“, რომ ვით მგელმა, ერთად სჩანთქან ჩვენი სული, ხორცი, კერძი.

ძველი ვანო, ნამწერლვევი, დღეს დიდ კაცათ მიღებული, ბასრი კბილით, ხელი უკან ჯიბის კარი გაღებული.

ძველ ლენინთან რათ იხსნიდით პროტოკოლებს ვინ გკითხაო, კაპარტინაში ჩავალბობ თვარ უყავით პაჩინკაო.

თვით მუშებიც სხვარიგ ვნახე რალაც ქარმა დაუბერა, ჯიბე კუჭის, ჯადო-გესლით გაქლენთილა ატმოსფერა.

გამეღვიძა და ბუნებას ვთხოვე კარგათ ამიხთინოს, სიზმრათ კაცი რას არ ნახავს, ბუტუნა ჯან, არ გეწყინოს.

სიკ-სიკ.

სურათები

(ქიათურისათვის).

რაკი ავიღე მიზანში პასუხ-საგები ხელობა, სირცხვილი არის, რომ დამრჩეს ქალაქის თვით მართველობა.

ვხატო?... მაგრამ რა დავხატო, დახეთ როგორ ლამაზია!! (არ იშორებს ხელთათმანებს ეს ყმაწვილი რა ნაზია!?)

სუფთათ იცვამს, ფრთხილათ დადის გასატები შუშასავით! (აბა კირკებს არ დაგიმტვრევს აიმ საწყალ მუშასავით!).

პირველ კლასით მოგზაურობს არ შორდება იგი კუბეს, გარეგნობით შემთფასეს სათავეში დამისკუპეს!!

მე მაკვირვებს ხალხის საქმე არ გაიცნეს მისი გული... (ყველამ იცის როდის გახდა იგი მუშის მოყვარული!)

პირველ, როცა გამოვიდა ეს-დეკების შთელი კრება,

და აქ მოხდა პარტიათა
შეჯიბრება—შეტაკება
(ამისთანა მაჩანჩალაც
იმათ რიცხვსა ემატება).

როს დარწმუნდა ბრძოლის ბედი
მუშისაკენ გადინარა,
ამ ყმაწვილმაც მუშა ხალხი
„გაგთეებით“ შეიყვარა!

დაგვაფიწყა, თუ მანამდე
იგი იყო მუშის მტერი...
(ანგარიშის კაცი არის,
ტყვილა არის ბუხვალტერი?)

ამის შემდგომ, როგორც ხედავთ
ამირჩიეს იგი თავად,
და ვერავის „ვაპატივებ“
ის მოიხსენიოს ავად.

ვგონებ არვის გაგიჭირდეთ
ამ სურათის ცნობა-ახსნა,
არც კვლავისთვის დამემდუროთ
ასეთია ჩემი დასკვნა:

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა
ჯოგჯერ თქმითაც დაშავდების“,
რა ვინილეთ ძირს ნაყოფი
ბალი წვერში გამწარდების...
(მომავალშიც ზოგიერთნი
ჩემი ხატვით გაშავდების).

ჭიათურელი ეშმაკი.

ხათაბალას დეკლარაცია.


სუფსა. სამკითხველოს ჟურნალ-
გაზეთების მკითხველები გულდათუთ-
ქული აუწყებენ ნათესავთ და მეგობ-
რებთ ძვირფასი და დაუვიწყარი
სუფსის სამკითხველოს გამგეობის
უდროვოთ გარდაცვალებას. წირვა
და პანაშვილი დანიშნულია ყოველ
დღე სასადილო „შეღავათში“. და-
საფლავების დღე ცალკე იქნება
გამოცხადებული. დაკრძალვის კო-
მისიები სთხოვს ყველას გვირგვინს
და სანთელს ნუ მოიტანებენ. მიი-
ღება წასაბურავი მხოლოდ ფულათ,
რითაც საშუალება მიეცემა კომი-
სიებს სამკითხველოს დახურვის.

— სუფსის შანტაჟისტები უბნის
მილიციის უფროსმა გაგზავნა სა-
ზაფხულოთ ოზურგეთის სამაზრო
ვირთხების აბანოში.

— სუფსაში, ლანჩხუთში და
ქვაბლაში სოციალიზმის განხორციე-
ლების შემდეგ ღურბელასავით თეთ-
რი პური 12 კაპეკათ იყიდება.

ოლოლე.

—
საჯევანო. საჯევანოს სამკითხვე-
ლოს გამგეობამ დაადგინა: ვინაი-



არა-კომუნისტი რედაქტორის „პრაგულკა“ კომუნისტურ რუსეთში.

დან სამკითხველოს გადამდები სენი
„ისპანკა“ ჰირს. და რომ მკითხვე-
ლებს უღობველი სენი არ გადაედოს,
ამიტომ სამკითხველოში შესასვლე-
ლი კიბე ადებულ იქმნას სანამ
ავადყოფი განიკურნებოდეს; ეს
დადგენილება ზოგიერთ თავხედ მო-
ქალაქის მიერ ცსოვრებაში არ ტარ-
დება და თითო ოროლა მნახველი
კვლავ შედიან შიგ ამბის საკითხა-
ვით თავიანთ კიბეებით.

— საჯევანოს რაიონის კოოპე-
რაცივთა კავშირის რწმუნებულთა
კრებამ 18 მარტს საჯევანოს სამკით-
ხველოსთვის გადასდო 3000 მანეთი
იმ მოსაზრებით რომ სულ ერთია
მანც მოკვდებო, ხოლო ქელეხი
წინ და წინ გადაიხადეს, რაზედაც
დახარჯეს 10,000 მანეთზე მეტი.

რიკრიკო.

—
ნოსირი. სიმართლეს მოკლებუ-
ლია ის ხმები თითქოს ნოსირის
თემის ერობის ხმოსანთა ყრილობა
იხსნებოდეს ღამის პირველ საათზე,
ყველა ხმოსნებს იატაკზე ეძინოსთ
და ოქმზე ხელს არ აწერდნენ. სი-
ნამდვილეში კი ასეა: ყრილობა იხ-
სნება ღამის ორ საათზე თავდება კი
დილის 6 საათზე. ხმოსანთა ძილი
მორიგეობით ხდება პარტებზე და
არა იატაკზე. ხმოსნები დადგენილე-
ბებს ეცნობიან დამსწრე პირთაგან
და ყველანი ოქმს ხელს აწერენ.


კუდიანი.

ლანჩხუთი. ადგილობრივმა მეწის-
ქვილეებმა ულტიმატუმით წარუდ-
გენ ქალაქის თავს, რომ ასეთ მო-
ლალატეობას, რომელიც გამოიხატე-
ბა ელექტრონის დიდი წისქვილის
მოწყობაში, თავი მიანებოს და 24
საათის განმავლობაში ლანჩხუთიდან
გააპაროს ჯერ-ჯერობით შეძენილი
მარტო დიდი ქვა, წინააღმდეგ შემ-
თხვევაში იმუქრებიან კომუნისტურ
შეთქმულებით. როგორც სინამდვი-
ლის ფსკერიდან იუწყებიან, მარტო
ქალაქის თავი უწევს წინააღმდეგო-
ბას მათ, ვარლამი უტუმალიობას
აკეთებს, ხმოსნები ნეიტრალიტეტს
იცაეს და ამიტომაც ჯერჯერობით
ელექტრონის სისქვილის ქვას რომ
სძინავს, საყანე მეთავედათ რომ გა-
დაიქცა და დაფქვა სანახევროთ.
მკითხველს ვთხოვ გამოიცნოს ძვე-
ლი მემამულეები სჭარბობდა ბატო-
ნობაში თუ ეხლანდელი მეწასქვი-
ლეები?

კრონოსი.

—
ჩიბათი. ქალის კოოპერაციის
ზოგიერთ წევრებს აებნა თვალები
და კოოპერაციეს ვერ აკლოვენ,
რომელშიც პაეები უნდა გაედიდე-
ბიათ. სამაგიეროთ პაეები კერძო
ვაკრებთან შეაქვენ.

ი. — ლო.



მესტვირული.

თუმცა არა ვარ რაქველი,
მიყვარს რაქული მღერაო
და ზოგიერთა გმირებზე
„ტკბილი“ ლექსების წერაო.
აი ამ მიზნით გუდუნას
კვლავაც მოვკიდე ხელია,
მსურს გამოვფინო ნათელზე
ვინც ცხოვრებაში ბნელია.

„ორიანტისა“ მსახურებს
ვეტყვი: თქვენ ჩემო ძმობილნო,
ქეიფში, ჩხუბში, ლანძღვაში—
მკლავაძეგებათ ცნობილნო.
მოდმის კირს არას დაეძებთ,
არა გწამთ ამხანაგია,
ღვინის სმა, ჩხუბი, გინება
მოდმეებს არათ არგია.

სტარშინას ვნახავ, შებრეკილს
ხარფუხის კლუბის ბინაზე,
(არ დავივიწყებ მე იმას
მისი მტერების ჯინაზე).
ვეტყვი თუ რისთვის არსებობს
ეს თქვენი კარგი კლუბია
(დრო არის უთხრა ყოველი
რაც გულში დამიგუბია).
ამ კლუბის დანიშნულება
ლოტოს თამაშით იწყება
და ლოტოსავე თამაშით
ის ყველას დაავიწყდება.
(რა ვუყოთ ჩუმათ ოთახში
ბაქარაც თუ კი იშლება?)
შემოსავალით ვიცოდე
ნეტა ვინ გამოგვიძლება?
სომეხ ჩარჩავით ამ კლუბში
ლოტო დღე დღეზე ძვირდება
(თუ ასე არ ქნეს სტარშინებს
ცხოვრება გაუქირდება).

მაშ ასე, ჩემო გუდუნავ
ვიკმაროთ ეს ამ კვირასო,
და მომავლისთვის სხვებიცა
გადავიყვანოთ ყირასო.

ჯიქია.

შარადა

(საჩხერე-ქიათურისათვის).

მომისმინოთ შარადა,
ვარ ამისი მთხოველი,
რის შეუსრულებლობას
მე თქვენგან არ მოველი.

ფრინველია ერთ გვარი,
შავნა და ავია,

(მისი მეზობელია
ვინც ძალიან შავია),
მის სახელს გამოაკლეთ
ერთი ასო,—მეორე,
სხვები შემოინახეთ
და გამომყეთ ქვემოთ.

ეხლა უნდა მოძებნოთ
ცხოველი გარეული,
თვალთმაქცი და ეშმაკი,
მტაცებელი, წყეული.
გვინდა ბოლო მარცვალი,
პირველი არ გვჭირია,
შეუერთოთ შენახულს
ეს არც ვასაჭირია.

სულ დაბოლოს გვჭირდება
კუდი ქართულ გვარისა,
(ძე არ გვინდა იცოდე,
მეორე რომ არისა),
და რომ სულ შეასრულებთ
შარადაც მზათ არისა.

წაიკითხეთ ხმა-მალლა
ჩვენი ნაღვალწ-ნაშრომი,
და წარმოსთქვამთ საქვეყნოთ
იმის გვარს, ვისაც ომი
სურს ღმერთს გამოუცხადოს,
მალლა ცაში აფრინდეს,
და სულ ყველას ამ ქვეყნათ
იმისი შეეშინდეს.

სურს „ოლიმპი“ დაიფლოს,
თავს მოველოს „იალბუზ“-ს,
რომ ქვეყანას ხედავდეს
ისე, ვით არწივი — ბუზს.
მაგრამ როდის მიაღწევს—
(მიკვირს-გამკვირებია)
„ოლიმპს“, როცა „ქალის მთას“
ჯერ არ გასცილებია?

ჩხიკვაძე.

კარგი ყოფილა

ცოლის ვაჭრობა.

ჩემმა ცოლმა ფუნდუკიამ მითხრა:
ოჯო ეხლა იმფერი დრო არის, თუ
ვაჭრობა არ დავიწყეთ თავს ვერ
დავირჩენთო. მოდი ერთი ვიყიდი
ქათმებს, კვერცხებს, ინდაურებს და
ბათომში წავიღებო.— კარგია გენაც-
ვალეთქვა მე უთხარი, მაგრამ დამოყ-
ნისტების არ გეშინია მეთქინ?—მე
რაიზა შემეშინება თუ პელაგიას არ
ეშინიაო, განა იმაზე ვარესი ვარო?
მიპასუხა—არა ცხოვრებავე, შენ
იმაზე უკეთესიც კი ხარ მეთქინ შე-
ვაქე. აბა რო არ შემექო ეგებ დას-

თხოვოდა ვაჭრობას და ჩუქრი ამო-
ძვრებოდა შიმშილით. გაუხარდა მს-
ქება, გაიქცა მეზობლებში იყიდა-
ქათმები, ინდაურები და კვერცხები,
სულ ვიანგარიშე შედგა 2,100 მ.
გაუდგა გზას, გავეყვი მეც ლანჩხუ-
თის სადგურზე წავაღებინე საქო-
ნელი, რაც ფული მომეძეოდა ყვე-
ლა შით ჩავყარე. მე გზაზე ღმერთს
ვეხვეწებოდი გაუმარჯვე ჩემს ფუნ-
დუკიას მეთქი. თურმე არ უნდა
ხვეწნა გაუმარჯვებენ არა თლათ
ინტრიპასივით. ჩამოდგა მატარებე-
ლი, სამტრედიის დაჩნი. მე დავი-
მალე არ გამოვჩნდი შემცხვა ნაცნო-
ბების, მაგრამ ვილაცამ ქე დაიყვირა:
ბიჭო შეხედე ილიკოს ცოლმა რა
ქათმები აიტანა მატარებელზეო. მე
ამ ხმის გაგონებით მიწა გამისკდა
სირცხვილით. დავაყურე ჩემ ქალს
კანდოქტორებმაც ხელი მოუწყო
საქონლის ატანაში. მე იმედი მო-
მეცა კარგი გაცნობილი ქალი მყო-
ლია და საქონელს არ დაკარგავს
მეთქი. მოვდივარ სახლისაკენ ჩიბათ-
ში და გზაზე ვიფიქრე, ცოლი ხომ
დაჩნით გავგზავნე, მოდი ერთი მე-
ნომრით გავყობი ცოლს, წავაყურებ
რას შობა მეთქი. გავყევი მატარე-
ბელს, ბილეთი ნატანებამდი ავიღე.
მივედი ნატანებში გათენებამდი ერთი
საათი იყო. მივიარ მოვიარე სად-
გურში და ჩემი ცოლი ვერ დავი-
ნახე, ვიფიქრე წასულა, გაუტანია
საქონელი მეთქი და ეხლა ბათუმში
წავალ მოსაგები მაინც ბევრი მექ-
ნება თქვა. ბილეთის კასას ვეძებ.
შევედი სადგურში სადაც აწერია
ბილეთის კასა ის ღია არ იყო.
ვირბინე იქით-აქეთ და დავინახე
უჩერედი, ჩავდექი მეც უჩერედში
საბაგაფოს გვერდით, ვიფიქრე აქ
გადმოუტანიან საბილეთე კასა თქვა.
ხალხი იძახის მალე ქოვ მალეო.
ხალხს შევხედე ზოგი დამოყნის და-
ბალი მოსამსახურებია და ზოგიც
სადგურის მილაციონერები. ერთი
ქე გამიკვირდა ამ ხალხს რათ უნდა
ბილეთი თქვა. მიუახლოვდი უჩერედს
და ქე არ დავინახე ჩემი ცოლი
ფუნდუკიე! საწყალს პირში სული
ძლივს ედგა და რომ დამინახა ცრემ-
ლები გადმოყარა, (ალბათ ქეც გა-
უკვირდა ეს აქ რამ მოიყვანაო). მე
გაბრაზებული დაუყვირე: ქალო ვინ
გავლახა მეთქი. (ამ ჩემ ხმაზე წინა



ლია წერილი რედაქციის
ლანჩუთის რაიონის ტერმინალში
ბ. პატარაიას.

კაცები გაიქცა) ქალმა მომადახა: არაფერი არ მიჭირს, აწი საქმე გაცეთებულაო. ავიდა მატარებელზე და პროპუსკი მოსთხოვეს, მაგრამ მეორემ უთხრა: ამას სამუდამო პროპუსკი თან ახლავსო. ის წავიდა ბათუმში და მე სახლში დავბრუნდი. მოვიდა ბათუმიდან და ერთი ინგლისური ტუფურკა მომიტანა. მე უთხარი ქალო ეს კარგია, მარა ინგლისელებს რაფერ მიახთინე, ან როდის ისწავლე ანგლიური ენა მეთქი. — მუნჯურათ ყველაფერს მიხთებიანო. — გინდ მუნჯურათ იყოს და გინდ ჯანდაბურათ, აღარ დავეძებ. ჩემ თავს კარგი არ სჭირს ქე ვიცი, მაგრამ აბა თავი რით დავიბრინო!.. ეხლანდელ დროში ქალების ვაჭრობა ყოფილა დალოცვილი ბათუმისაკენ. თვარა საწყალი კაცების საქმე დაღუბულია.

ი. იუსტინაიშვილი.

დაბა-სოფლ ეგი.

ახალ-სენაკი.

ძმომ ბეშტია, გაგაცნობ სენაკში მყოფ აქციის ჰკვიანს, ცხვირი წვეარს რომ მიუგავს, ორმოცდა ოთხ ფოლაქიანს.

განათლებულ ქულში უდევს სასახლო გოგრა თვისი, კონტრაბანდს თუ მოახელო მყისვე არის მინათვისი.

საწყობი აქვს იმას სახლში, ხომ არ იცით აბა რისა? გურთომ გურთომ დონაფშეფი წართმეული თუთუნისა.

ჯამაგირი იმას მცირე თუმცა წინათ არ ყოფნიდა, დღეს სულ სხვაა, მსუყეთ ცხოვრობს, ქანჭრით ჯიბე დაუმძიმდა.

მას ბაზარი რომ არ ეყო გაეღვიძა მადა ეგზომ, სადგურისკენ დადმოიჭრა ვერ შეაკრთო რკინის ეზომ.

აქ დამქაშიც გაიჩინა კვლავ ცნობილი გიგო ჩვენი, (თუმც მოხუცდა გრძელ-წვერება მაინც უყვარს მონარჩენი.

როს დამქაშნი დამობილდნენ, გადააბენ კული კულზე, დილით ლადოსა ესტუმრენ, ვითომც და მონარჩენ პურზე.

ამობს გიგო: ჩემო ლადო, უთავაზე სანოვს პური, ისე რაღა, სამ მანეთად, როგორც იწერს მას სადგური.

იმ დღეს ლადომ თვით არ ჰქამა თუ მოაკლო ბაღნებს თვისას, ჩვენ არ ვიცით, მხოლოთ ვიცით რომ გაგზავნა სანოვისას.

რა დაეჩვია სანოვი — კიდევ მიადგა ლადოსა, მაგრამ ლადომა სანოვსა შემოუტია ამ დროსა:

არ შემიძლია ჩემო ძმავ, ეგ ძნელი სამსახურიო! მე აქა ათათ ვიყიდო, შენ სამათ მოგცე პურიო!?

რა ესე ესმა სანოვსა განრისხდა, მეტის მეტათა, და, ბუდკას შემოუარა კარი შეაღო ცეტათა.

ეძია, ვერა იპოვნა გარდა სახოვი მახორკის, იმ წამსვე წერას შეუდგა პროტოკოლის და რაპორტის.

და ამის შემდეგ ვინ რა სთქვას ვინ ვისი არის მსაჯული, სად გადაცვლილა სინდისი და რწმენა სუფევს ცხრა რჯული.

ნისკარტი.

ბორჯომი.

ჩვენს ქალაქში მოგვევლინა ახალ-მოდის „მეცნიერი“ (ამის შემდეგ რაღა გვიჭირს, განათლდება მთელი ერი).

მკითხავია (მარჩიელი), სახელად ქვია სონია, ბევრ ცუდლულტს და უსაქმურებს იმან საქმე აშოვნია.

ყველა მასთან იყრის თავსა დამწვარი და დახრუკული, ქალი — ქმარის შაძებარი, კაცი — ცოლის მონატრული.

ყმაწვილები, ბარიშნები — ვისაც დაჰკარგვია ბედი, ყველას იმის კარებზე აქვს დღე და ღამე „ვეჩერედი“!

ამ მოვლენით მხიარულობს, ჩვენი ფაჩო და თამარა, რა ეღირსათ „მეცნიერი“ ლამის ცაზედ ქნან კამარა.

მუდამ იმის ნიქს აქებენ, უხვექავენ ხალხში სახელს. (ვაი ასეთ „შეგნებულეებს“ და იმ „მეცნიერის“ მნახველს).

ტუ-ტუნა.

„მათრახის“ 1-ლ ნომერში მოთავსებულია თქვენს შესახებ ლექსი „ლესელის“ ფსევდონიმით. თქვენ შესდგომიხართ ავტორის ძებნას და როგორც გადმომცეს „გმირული“ წესით გინდოდათ გამასპინძლება და ავტორათაც მე მასახელებდით თურმე. მართალია ხსენებული ფსევდონიმი მე მეკუთვნის დიდი ხანია, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სოფლის მკვიდრს არ შეეძლოს თავის სოფლის სახელით რაიმე მოათავსოს ჩემ გარეთ, და რომ ხსენებული წერილი მე არ მეკუთვნის ამას რედაქცია დაამოწმებს, მხოლოთ თქვენ კი უნდა მოგახსენოთ, რომ მართლაც ჩემი ორიოდ დღის სოფელში ყოფნის დროს ბევრი ცუდი გავიგონე თქვენზე და თქვენი ზნეობრივი ვალი მოითხოვს თქვენ თუ მართალი ბრძანდებით პასუხი აგებოთ, როგორც კორესპონდენტს ისე საზოგადოების ნაწილს და არა კორესპონდენტის ვინაობის გაგებაზედ დახარჯოთ დრო. პავ. სარჯველაძე.

რედაქცია ამოწმებს, რომ ზეზოხ-სენებული ლექსის ავტორი პავ. სარჯველაძე არ არის. რედ.

განცხადება.

ჟურნალ „ხათაბალას“ № 3-ში გონჯის მიერ მოთავსებული დეპეშა: გამოჩინებულის თემის თავმჯდომარის დაკარგვის შესახებ მტკნარი სიტუაცია. თემის თავმჯდომარე კი არ დაკარგულა, არამედ გამოჩინებულის თემის „ცენტრი“ იყო დაკარგული, რომელსაც ერთი საუკუნე იქნება დაფუძნდა თემის დიდი უმრავლესობა, მაგრამ ვერ იპოვეს. თემის თავმჯდომარემ, მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და ათი თვის ძებნის შემდეგ როგორც იქნა აღმოაჩინა ჯიუტი „ცენტრი“ ქუთაისის სამხარე ერობაში, რომელიც დიდის ამბით ჩამოიყვანა ს. საჯავახოში და მოათავსა რამიშვილის სახლის მეორე სართულში. მილიციის უფროსს ნაბრძანები აქვს სასტიკათ თვალ-ყური ადევნოს, რომ არავინ მოიპაროს.

ეჭლა მკითხველმა განსაჯოს ვის უფრო ეკუთვნის ჯილდო, გონჯს თუ თემის თავმჯდომარეს. ვინც ჩემი ინგლისური პლაშის გახდას მოინდომებს ნაჩუქარ რუსულ თეთრ პლაშს დაკარგავ. ნათქვამია: ორი კურდღლის მდ ვარი ვერც ერთს დაიჭერო.

პატ. თემის თავმჯდომარე.

„ეშმაკის მათრახის“ მუთაისელ
კორესკონდენტ შებრეკილს.

თქვენი ფსევდონიმი ისეთი სახარბიელო არ არის, რომ ჩვენს თანამშრომელს ის შენტვის განზრახ წაერთ-
მიოს. ეს მოხდა მხოლოდ შექანჯალეზულის მიბაძულო-
ბით და გარდა ამისა ეს ისეთი ფსევდონიმია, რომ ყველა
შექანჯალეზუს და შებრეკილს შეუძლია დაირქვას,
მარტო შენ ვერ მიითვისებ. ესეც რომ არ იყოს, ჩვენმა
შებრეკილმა ისიც განაცხადა, რომ მე ამ ფსევდონიმით
უკვე 1912 წელში გამოცემულ „მათრახში“ მაქს დაწე-
რილი ერთი ლექსიო და რაკი შენ 1917 წელში დაგი-
წერია—პლაგიატობა უკანვე გადმოვილოცა.

რაც შეეხება იმას, რომ თქვენ „ეშმაკის მათრახის“
ღირსებას დიდ პატივს სცემთ, მაგაში გერწმუნებით.
ჩვენ არა თუ ყურნალს, თვით ეშმაკისა და თაგუნას
ნიქსაც დიდ პატივს ვცემთ და ვაფასებთ, მაგრამ ეს იმას
არ ნიშნავს, რომ ნიჭიერ ადამიანებმა ხანდახან არ ჩი-
დინონ უკანონობა და არა საკადრისი საქციელი.

ჩვენ არ მოგვწონს ახლანდელი „ეშმაკის მათრახის“
და მათი ხელმძღვანელების ზოგი საქციელი, რასაც არ
ვმალავთ, რომ უკმაყოფილო ვართ, მაგრამ არასდროს
არ გვიფიქრია, მისი აღიარება გაზეთის ფურცლებზე.
შებრეკილის წერილები გამოიწვია შექანჯალეზულის გა-
მოლაშქრებამ და ნურას უფრო ვაფასებთ მუთაისელო შებრე-
კილო, რომ ჩვენ, როგორც მათთან დაახლოვებული და
დიდი ხნის ამხანაგები, თქვენზე სწორათ ვაფასებდეთ
მათ ღირსებასაც და ნაკლულევიანებასაც.

პატივისცემით „ხათაბალას“ რედაქტორის
მონდობილობით მათრახოსანი.

მაისი დილა გათენდა, რა კარგი დარი დგებო, ჩვენი ჯარი და გვარდია—საომრათ ეშხადებო. აისხა ხმალი, აბჯარი, თითის ფრჩხილებზე დგებო და გაეშურა იქეთკენ—სად რტერი გვემუქრებო. გაბრიყვებული თათრები სამძღვარზე მოგვადგებო! (თბილისი უნდა ავილოთ, ის ჩვენ გამოგვადგებო!)-ქართველსა მამაც სარდლებსა მუქარა ეცინებო, ამბობენ: გლახაკთან ომი კიდევაც გვერცხვინებო. მაგრამ რომ ჭკუა გასწავლოთ ამის მოგვეცი ნებო. (თბილისი რომ არ დაგიტმოთ, ნურავის ეწყინებო).
ბეშტია.



ვააა! რა დრო დაგვიდგა ახპერ!



ადერბეიჯანის ტრაგედია.